ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2914101

ნომერი: AR1447567

თარიღი : 08.10.2016

გაცემის თარიღი : 27.10.2016

გაცნობის თარიღი : 27.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ რობაქიძე პ/ნ 01005018491
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 171/7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

# გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე I კლასის სამუშაოების (სარეკლამო აბრებისა და ღიობების რეკონსტრუქციის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, მეტრო სადგურ „ახმეტელის ტექტრი“-ს მიმდებარე ტერიტორია, შპს „კარიბჭე“-ს კუთვნილ ფართების ფასადზე შპს“GOLD CREDIT”-ის მიერ I კლასის სამუშაოების (სარეკლამო აბრებისა და ღიობების რეკონსტრუქციის) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ( საკადასტრო კოდი N 01.11.12.016.030, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016724617 21/10/2016წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტომასალა ფოტომონტაჟი, იჯარის ხელშეკრულება) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მეტრო სადგურ „ახმეტელის ტექტრი“-ს მიმდებარე ტერიტორია, შპს „კარიბჭე“-ს კუთვნილ ფართების ფასადზე შპს“GOLD CREDIT”-ის მიერ I კლასის სამუშაოების (სარეკლამო აბრებისა და ღიობების რეკონსტრუქციის) განხორციელების შესაძლებლობას.

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.